ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 95

ქალაქი ქუთაისი 27 ივლისი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 24 ივნისის №44-4422175276 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412704612), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, კერძოდ: ავტომანქანა „TOYOTA RAV4“ (შავი ფერის; მაღალი გამავლობის; სახელმწიფო ნომერი „GT818TT“; სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი „2T3RF4DVXCW202770“) გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონებით სარგებლობის ვადა განისაზღვროს არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „სპეციალური სერვისების“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412704612) არსებობის ვადით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

190

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია